

K 50858  
2

იურადები  
ბიბლიოთეკა

# ესეები ველიაქევალი

# ხიჭაპავის განტიაზი



ერეაზ  
კელიანეაზ



ერეაზ  
განთქმნა



გამოცემაში „საბჭოთა საკართველო“  
თბილისი — 1982

33(5)(c41)

65.9(2Γ)04

308(-22)(47.922)

318

- 1) სუსტავების უნდღე  
2) ასეთი ხილი




ხიზაბავრა მთის ლამაზი სოფელია, რომელიც ასპინძის რაიონს ეკუთვნის. ამ სოფელმა ჩვენს ქვეყანას მრავალი მამულიშვილი აღმართდა.

ნაშრომში მოთხრობილია ხიზაბავრის წარსული და აწმყო; ის ფერის-ცვალება, რომელიც ამ ძველმა ქართულმა სოფელმა განიცადა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

რეცენზირები:

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატები

თ. ჩხეიძე და ზ. ციცელაძე



10601—199

B ————— 55—82

M601(08)—82

© გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1982

16/2

- 5 -

K 508858

„ეს სოფელი ამით არის შესანიშნავი,  
რომ სამესხეთოს ყოველი გარედანი და  
შინაგანი სიძველის სახელი და ველრება-  
სრულ თავსში შეუჩრყევლად შეუნახავს  
დღემდე“.

ივანე გვარამაძე  
(ვინწე მესხი)

მემატიანეთა ცნობით, მცირე აზიაში მცხოვრები ქართვე-  
ლი ტომები ქიმერელების შემოსევისას, XIII საუკუნეში  
ჩვენს ერამდე, თავიანთი ძველი ადგილ-სამყოფელიდან აყრი-  
ლან და სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ წამოსულან. ზოგი-  
ერთი მათგანი „მიზეზთა სხვათა და სხვათა“ დღევანდელ აღ-  
მოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დასახლებულა და  
დროთა განმავლობაში იქაურ ადგილობრივ ტომებში გათქვე-  
ფილა. ამ ლტოლვილ ტომთაგან თავისი კულტურით, ეკონო-  
მიკური სიძლიერითა და სხვა განსაკუთრებული დამახასიათე-  
ბელი ნიშან-თვისებებით გამოირჩეოდნენ მუსხები, იგივე მუშ-  
კები, ანუ მესხები, რომლებსაც, თავის დროზე, ხეთების უძვე-  
ლეს სახელმწიფოსთან ახლო ურთიერთობა ჰქონიათ. ი. ჭავ-  
ჭავაძე წერდა: „ჩვენი ყოფილი ცხოვრება იქ, სამცხეში აყ-  
ვავებულა, ჩვენს სიცოცხლეს იქ უჩქეონია, ჩვენი სულის ძლი-  
ერებას იქ აღუმართავს თავისი სახელგანთქმული დროშა, თი-  
თქმის იგია ჩვენი აღმატებულების აკვანი და იგია სამარე ჩვე-  
ნი ყოფილი აღმატებულებისა, სწავლა-განათლება, მამულისა-

თვის თავგამოდებული სიყვარული თითქმის იქიდან ეფინებოდა ჩვენს ქვეყანას ერთ დროს<sup>1</sup>.

მცირე აზიდან აყრილ-გაღმოსახლებული მუსხების ფასლული ადგილსამყოფელი, ანუ დღევანდელი მესხეთ-ჯავახეთ, სამცხე-საათაბაგოც ეწოდებოდა, ძველად ხშირი ტყე-ებით, წყაროს წყლებითა და ზომიერი ჰავით, წიაღისეული ხიმდიდრით, საქმაოდ განვითარებული სოფლის მეურნეობით ყოფილა ცნობილი. მაგრამ უცხოელ დამპყრობლებს გადაუწვავთ იქაურობა, გაუკაფავთ ბალ-ვენახები.

ძნელად თუ მოიძებნება ისეთი კუთხე, რომელსაც იმდენი ჭირ-ვარამი გამოევლოს, იმდენი რბევა-აწიოკება განეცადოს, რამდენიც წილად ხვდა მესხეთ-ჯავახეთს. საუკუნეები საუკუნეებს მისდევდნენ და საქართველოს განუყოფელი ამ სისხლ-ხორცეული მიწის ბედუკულმართობას ბოლო არ უჩანდა. რომელმა მომხდურმა არ დააყენა აქაურ მადლიან მიწა-წყალზე ადგილობრივ მკვიდრთა სისხლის ტბორები — არაბებმა თუ მონლოლებმა, სპარსელებმა თუ ოსმალებმა. მტარვალთა გამუდმებულმა შემოსევებმა თანდათანობით ძირს დასცა ამ კუთხის ერთ დროს დაწინაურებული ეკონომიკა და კულტურა. მესხებს თურქების თავდასხმები ყველაზე ძვირად დაუკდათ. ვახუშტი ბაგრატიონი წერს: „სამცხე-საათაბაგო, დიდებული ქვეყანა, ოსმალომ მოსრნა, მოახრა, გაათათრა“<sup>2</sup>.

მესხეთ-ჯავახეთის მწარე ხვედრზე ცნობებს ვხვდებით უცხოურ წყაროებშიც. თვით თურქი ისტორიკოსის, ფეჩევის,

1 ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული, ტ. IV, 1955, 83. 11—12.

2 ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, 1973, 83. 659.



გადმოცემით, ისლამის აღიარების დღიდან არც ერთ შემცირებული არ განუცდია ისეთი რბევა, როგორიც წილად ხვდა ქართველთა კულტურულის განუყოფელ ნაწილს, სამცხე-საათაბაგოს. მისი ცნობებით, თურქეთის მიერ ძალით თავს მოხვეული, განუკითხავი ომების შედეგად აქაურ მცხოვრებთ მოკლულთა სახით დაუკარგავთ 70 ათასი კაცი, ხოლო ტყვეთწაყვანილებისა — 100 ათასი.

XVI საუკუნის მეორე ათწლეულიდან გამუდმებული შემოსევების შედეგად მაჰმადიანურმა თურქეთმა გატეხა ქართველი ხალხის წინააღმდევობა და სამხრეთ საქართველო დაიპყრო. მტერმა სამცხე-საათაბაგოს მთავრებს დამოუკიდებელი მართვის უფლებები აპყარა, თურქული სახელმწიფოებრივი ხელისუფლება დააწესა და ამ კუთხეს გურჯისტანის ვილაიეთი, ე. ი. საქართველოს პროვინცია უწოდა. „1626 წელს ბექა ჭაველმა მოწამლა თავისი ძმისწული, — გადმოგვცემს ქართველი ხალხის სულიერი მოძღვარი ი. ჭავჭავაძე, — უკანასკნელი ათაბაგი მანუჩარი გადაუდგა ქრისტიანობას, ქართველობას, მიიღო ორთულიანი ფაშობა ოსმალეთისაგან სამცხე-საათაბაგოსი და სახელად დაირჩეა საფარ-ფაშა. ამის გამო ბევრნი თავადაზნაურნი და გლეხნი გადმოიხვეწნენ ქართლს. ზოგიერთს იქ დარჩენილთა მიაღებინეს მაჰმადიანობა, ზოგს ძალდატანებით, ზოგს მოტყუებით და მაცდურობით, სამღვდელონი და ეპისკოპოსნი მოსწყვიტეს, საყდრები გაძარცევს და ყოველი საღმრთო საერო წიგნები ცეცხლს მისცეს“<sup>1</sup>.

თურქეთის ბატონობის შედეგად დაიწყო სამხრეთ-საქართველოს უმოწყალო რბევა, უდანაშაულო მოსახლეობის ძარავა, ძალდატანებით გამაჰმადიანება, ემიგრაცია, რასაც თან

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული, ტ. IV, გვ. 110.

მოჰყვა ეროვნული ტოპონიმიკის იმგვარი აღრევა, რომ დღეს  
მისი პირვანდელი სახით აღდგენა ზოგჯერ შეუძლებელია:

თურქების ბატონობისას შექმნილი მძიმე საშირო ტოლია  
ტიკური ვითარების შედეგად ნახევარი მილიონი ქართველი,  
ანუ სამასზე მეტი სოფელი ერთიანად აყრილა სამცხე-საათა-  
ბაგოდან და საქართველოს სხვა კუთხეებისათვის შეუფარებია  
თავი. ყოველივე ამის გამო მესხეთში დაბადებულ კაცს დღე-  
საც არ განელებია ძველთაძველი წუხილი. ეს არის უცხოელ  
დამყრობთა მიერ აოხრებული სოფლების, მამა-პაპათა დან-  
გრეულ-დაქუცმაცებული სახლ-კარის გახსენებით გამოწვეუ-  
ლი წუხილი. ეს არის იმ დედის წუხილის გამოძახილი, რომ-  
ლის პირმშოსაც სოფელ უდეში რჩულგაყიდულმა მირზა აბუ-  
ლაძემ ენა ამოაგლიგა ქართულ ენაზე ლაპარაკისათვის. ეს  
არის იმ 81 პატარა მესხის ტანჯვით გახსენებული წუხილი,  
რომლებიც ამ ასიოდე წლის წინათ, დიდსისხლიანობის უამს,  
სოფლიდან გაქცევის გამო ცხენდაცხენ დადევნებულმა მტრის  
რაზმა ურაველის ხეობაში ხმლით აკაფეს.

სამცხე-ჭავახეთში, თურქებმა წაბილწეს და შეურაცხყვეს  
ძველი ქართული კულტურის დიდებული ძეგლები — ასპინძის,  
ახალქალაქის, ხერთვისის, თმოგვის ციხესიმაგრენი, ვარძიის  
ნაქალაქარი, წუნდის ტბის ისტორიული შემოგარენი. მომხ-  
დურთა თავაშვებულმა ძალადობამ დაადუმა აწყურის, საფა-  
რის, ზარზმის, ჭულეს, ბიეთის ეკლესიათა სამრეკლოები. აიკ-  
რძალა ქრისტიანული დღესასწაულები, წირვა-ლოცვა. გაძლი-  
ერდა მოსახლეობის იძულებითი წესით გამაპმადიანება. გამ-  
ძვინვარებული მტერი არაფერს ერიდებოდა დასახული მიზნის  
მისაღწევად: მასობრივად სწვავდა სოფლებს, ჩეხავდა ხეხი-  
ლის ბაღებს, კაფავდა ვენახებს, აოხრებულ-გაპარტახე-

ბული ეზოების ლობეების სარებზე კიდებდა „ურჩ გიაურთა“  
მოვეთილ თავებს.

ცას სწვდებოდა აწიოკებული მოსახლეობის გოლების შემოწმება  
უპატრონოდ მიტოვებული, დამშეული საქონლის ბლავილი,  
მაგრამ გამკითხავი არავინ იყო. გლოვას მოეცვა გაპარტახებუ-  
ლი სოფლები და მათ შორის ხიზაბავრაც.

თავისი გეოგრაფიული მდებარეობით ხიზაბავრა ღამპყ-  
რობთათვის ძნელად მისადგომი იყო. ამის მიუხედავად, ისტო-  
რიამ მაინც შემოვინახა ამ სოფლის მქვიდრთა მიერ მომხ-  
დურთა წინააღმდეგ გადახდილი ბრძოლების მნიშვნელოვანი  
ეპიზოდები.

როგორც ცნობილია, არაბებმა VII საუკუნის შუა წლები-  
დან IX საუკუნის დამდეგისათვის დაიპყრეს ახლო და შუა აღ-  
მოსავლეთის ქვეყნები, ჩრდილოეთ აფრიკა, სამხრეთ-დასავ-  
ლეთი ევროპა; 642 წლს საქართველოშიც შემოიჭრნენ. მათ  
თავიანთი განუკითხავი ბატონობის შედეგად ძირს დასცეს  
ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა და კულტურა.

840—842 წლებში არაბებმა ორჯერ გამოილაშქრეს სა-  
ქართველოში ხალიდ იაზიდისძის სარდლობით. მესამე გამო-  
ლაშქრება ჩვენს ქვეყანაზე არაბთა ცნობილი მხედართმთავ-  
რისათვის საბედისშერო გამოდგა. აშოთ კურაპალატის შვი-  
ლის, ბაგრატ მეფის მხედრიონმა გვარამის მეთაურობით ხიზა-  
ბავრაში ტრიალ მინდორზე გამართულ გააფთრებულ ბრძოლა-  
ში ხალიდს ხმლით თავი გააგდებინა. მტრის სისხლით მოირ-  
წყა ხიზაბავრის მინდორი, რის გამოც ადგილობრივი მკვიდრ-  
ნი იმ ადგილს დღესაც „სისხლუანებს“ უწოდებენ.

არაბთა სარდლის ხალიდ იაზიდისძის მოქვლას ხიზაბავ-  
რაში ქართველთაგან სამაგიეროს მიზღვის სურვილი ედო სა-  
ფუძვლად. მემატიანეთა ცნობით, არაბების მიერ მოსყიდული

ქართველი ფეოდალების ერთ ჯგუფს მოტყუებით არტანუ-  
ჯის მონასტერში ჩაუკეტიათ ქართლის მთავრის აღარნასეს  
შვილი, შემდეგში სახელოვანი მეფე აშოტ კურაპლკტე  
საკურთხევლის აუზთან ხანჯლით ყელი გამოულადოცვით.

ტრაგიულად დაღუპული მამის შემდეგ სამეფო ტახტზე  
აშოტის შვილი ბაგრატი ასულა, ქვეყნის დიდ თავადთა წინამ-  
ძლოლობა კი მის ძმებს აღარნასესა და გვარამს უთავიათ. სწო-  
რედ მათ ხედათ წილად არაბთა მიერ მამისა და მთელი ქართ-  
ველი ხალხის სისხლის დაღვრის გამო მტრისათვის სამაგიე-  
როს გადახდა.

ძველი გაღმოცემის თანახმად, ქართველი ხალხი თავის და-  
მრბევ-ამაოხრებელ არაბებს მიწაში კი არ მარხავდნენ, იქვე  
„სისხლუანებიდან“ 100 მეტრის დაშორებით მდებარე 350  
მეტრი სიღრმის ვერტიკალური კლდიდან უფსკრულში ყრი-  
დნენ.

არცოუ ისე დიდი ხნის წინათ ხიზაბავრელ მოხუცთაგან  
ხშირად გაიგებდით: „სისხლუანებში“ მოწეული ყანის პური  
სასუფთაოდ (საღვთოდ) არ გამოდგება. იგი ურჯულოთა სი-  
სხლით მორწყული მიწის ნაყოფია. მისი სადღესასწაულოდ  
(ახალ წელს, შობას, აღდგომას, წყალეურთხევასა და სხვა) გა-  
მყენება არ შეიძლება.

ხიზაბავრასთან არის დაკავშირებული აგრეთვე მეორე მნი-  
შვნელოვანი ისტორიული გაღმოცემა — აპინძის ომი, რომე-  
ლიც 1770 წლის 20 აპრილს ერეკლე II-ის ბრწყინვალე გა-  
მარჯვებით დამთავრდა. სამი ათასი მებრძოლისაგან შემდგარ-  
მა ქართველთა ლაშქარმა სასტიკად დაამარცხა ცხრათასკა-  
ციანი თურქეთის ჯარი და ლეკთა რაზმების მეთაური კოხტა  
ბელადი. ურეკლემ პირისპირ შებრძოლებისას ხმლით აჩეხა,  
რამაც ბრძოლის ბედი საბოლოოდ ქართველების სასარგებ-

ლოდ გადაწყვიტა. ასპინძის ომში ერეკლე II-ს თან ახლოს ხელი ხიზაბავრელებიც. სწორედ მათ ჩაუკეტეს მომხდურთ კომისარი ვლეთით საყოველთაოდ ცნობილი ჩიხორიშის რითაც ისარგებლა გიორგი ბატონიშვილმა, შემდეგში ქართლ-კახეთის უკანასკნელმა მეფემ და თავისი ლაშქრით მტერზე ფიცხელი იერიში მიიტანა.

ასპინძის ომის დამთავრების მეორე დღეს — 1770 წლის 21 აპრილს მტერზე გამარჯვებული მეფე ერეკლე თავისი ამალით ხიზაბავრელებმა სოფელში მიიწვიეს და საპატიო სტუმარს ღირსეული ნადიმი გაუმართეს. ასპინძის ომში ხიზაბავრელთა აქტიური მონაწილეობა და მტერზე გამარჯვების აღსანიშნავად ერეკლესათვის გაწეული მასპინძლობა მხედველობიდან არ გამოპარვია ცბიერებით სახელგანთქმულ გულღვარძლიან ახალციხის ფაშას. აღსანიშნავია, რომ 1828 წლის ივლისში ხიზაბავრაში იყო დაბანაკებული გენერალ პასკევიჩის მეთაურობით ახალციხის გასათავისუფლებლად მოსული რუსეთის ქართველთა გაერთიანებული ქარი. 1918 წლის აპრილში, მენშევიკურ საქართველოს არსებობის გარიურაჟზე 5 000 თავით ფეხებამდე შეიარაღებული თურქი ქარისკაცი საქართველოში შემოიჭრა და სანიორას მთაზე დადგა, რათა სოფლები ხიზაბავრა და სარო აეოხრებია.

ბრძოლაში თასამდე ხიზაბავრელმა მიიღო მონაწილეობა ეფრემ ველიხანაშვილის მეთაურობით. მტერი დამარცხდა, მან მოკლულთა სახით ბრძოლის ველზე 2500 ქაცი დატოვა, დანარჩენებმა კი ხერთვისის ციხეს შეაფარეს თავი.

ხიზაბავრა თავის დროზე სამხრეთ საქართველოს თავდაცვის მნიშვნელოვან ზღუდეს წარმოადგენდა. ეს განპირობებული იყო მისი საგანგებო აღგილ-მდებარეობით. 500-მტერი-ანი ციცაბო სალი კლდე, რომელიც სამხრეთიდან ესაზღვრება

სოფელს, უძლეველობის ძალას აძლევდა ხიზაბავრას. საიმე-  
ლოდ კეტავდა იგი, ერთი მხრივ, ჯვანეთს აბაზას ხევის საშუა-  
ლებით, ხოლო, მეორე მხრივ — სამცხეს ჩიხორიშის რაოდ  
ქვის ქარაფებით. თურქებმა კარგად იცოდნენ ხიზაბავრის  
სტრატეგიული მნიშვნელობა და ამიტომაც ცდილობდნენ მის  
დამორჩილებას.

გამუდმებულმა თავდასხმებმა, განუკითხავმა სისხლის  
ღვრამ, მომხდურთა ძალადობამ ბევრჯერ გადაშენების კარამ-  
დე მიიყვანა სოფელი, მაგრამ თავისუფლებისმოყვარე, სამ-  
შობლო ქვეყნის ერთგული, ბრძოლებში გამოწრობილი ხი-  
ზაბავრელები მტერმა მაინც უერ დაიმორჩილა, მომხდურთაგან  
გაძარცულ-აწიოკებულ მოსახლეობას ბუხარში ცეცხლი დი-  
დიხნით არასოდეს ჩაუქრია.

1480 წელს რუსეთმა მონლოლთა ულელი გადაიგდო და  
დიდ, გავლენიან პოლიტიკურ ერთეულად იქცა. მაშინდელმა  
ქართველმა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა ახლა უკვე იმედის  
თვალი რუსეთს მიაპყრეს. ჭერ კიდევ 1491 წელს კახეთის მე-  
ფე ალექსანდრე I დიპლომატიურ კავშირს ამყარებს მოსკო-  
ვის დიდ მთავარ ივანე III-თან.

XV საუკუნის მიწურულსა და XVI საუკუნის დამდეგისათ-  
ვის საქართველოში გავრცელდა აზრი, რომ მაკმადიანურ სა-  
ხელმწიფოთაგან გამუდმებული შემოსევებით განაწარმები  
ქვეყნის ხსნა რუსეთის დახმარების გარეშე შეუძლებელი იქ-  
ნებოდა. ამიტომაც იყო, რომ კახეთის იმავე მეფემ ლევანმა  
ცოტა უფრო მოგვიანებით ივანე IV-ს მფარველობა სთხოვა.

რუსეთ-საქართველოს შორის გამართულმა დიპლომატი-  
ურმა მოლაპარაკებამ ჩააფიქრა თურქეთ-ირანის სახელმწიფო  
მოღვაწენი, საომარი მოქმედება შეწყვიტეს და 1555 წ. და-  
ზავდნენ. წინასწარი შეთანხმების შედეგად ქართლ-კახეთი წი-

ლად სვდა სპარსეთს, დასავლეთ საქართველო კი ოსმალებს.  
ასევე გაიყვეს სამცხე-საათაბაგოც. ტაო, შავშეთი და ულანჩენი  
თი ოსმალეთს ერგო, ხოლო სამცხე-ჭავახეთი — სპარსეთის მიერ

სამცხის ათაბაგები ვერ შეურიგდნენ თვითი სამთავროს  
ორად გაყოფას და შეეცადნენ სპარსეთის შაპთან საერთო ენა  
გამოენახათ, რათა ქვეყანა თურქეთის ბატონობისაგან ეხსნათ.  
სულთანმა შეიტყო მის წინააღმდეგ შეთქმულების ამბავი და  
1578 წელს შაპთან დადებული ზავი დაარღვია. იფეთქა ომმა,  
რომელშიც გამარჯვება სულთანს ხვდა წილად. ამის შემდეგ  
თურქეთმა მთელი ამიერკავკასია დაიპყო და კასპიის ზღვის  
სანაპიროზე გავიდა. დამარცხებული სპარსეთი იძულებული  
გახდა ეცნო ოსმალეთის უფლება ამიერკავკასიაზე. სამცხე-  
საათაბაგო მთლიანად ოსმალეთს დარჩა.

კასპიის ზღვაზე გაბატონებით თურქები ფიქრობდნენ შუა  
აზიასთან დაკავშირებას, ვოლგა-ასტრახანის სავაჭრო გზის  
ხელში ჩაგდებას. რუსეთი მიხვდა სულთნის განზრახვას და  
ამიერკავკასიაში პოზიციის განმტკიცების მიზნით შეეცადა  
ქართველ მეფეებთან საერთო ენა გამოენახა, რაც ქართველებ-  
საც ხელს აძლევდა.

სამცხის ათაბაგებს სურდათ აღმოსავლეთში შექმნილი  
რთული პოლიტიკური მდგომარეობა თავიანთ სასარგებლოდ  
გამოიყენებინათ. მათ ყოველწლიური ხარჯის გადახდა ივალ-  
დებულეს თურქეთის წინაშე, რათა ამ გზით შეენარჩუნებინათ  
სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკურ-ადმინისტრაციული მთლიანო-  
ბა, სარწმუნოებრივი ხელშეუხებლობა. მაგრამ სამცხის გამგე-  
ბელთა განზრახვა განუხორციელებელი დარჩა. თურქები  
ცეცხლითა და მახვილით ნერგავდნენ მათ მიერ დაპყრობილ  
ქვეყნებში, მათ შორის, სამხრეთ საქართველოშიც, ოსმალურ  
წესებს.

1581 წელს სულთანმა სამცხის ათაბაგს მანუჩარს ფაშობა  
უბოძა და თავის მსახურად გაიხადა. 1587 წელს გორის ბეგ-  
ლარ-ბეგად დანიშნა ცნობილი მესხი ფეოდალის ვარაზე შეადგინეს  
კაშვილის ვაჟი გამუსულმანებული კოკოლა შეადგინეს რომელიც ისტორიაში მაპმუდ ხანის სახელით შევიდა.

1607 წელს სპარსეთ-საქართველოს გაერთიანებულმა ჯარ-  
მა, რომელსაც აქტიურად უჭერდნენ მხარს შაჰ აბას I-ის მიერ  
დაქირავებული ლეკ-მეკობრეთა რაზმები, დაამარცხა თურქე-  
თი და სამცხე-ჭავახეთი ირანს დარჩა. მაგრამ სპარსელ-ქართ-  
ველთა ეს გამარჯვება ხანმოკლე გამოდგა. შემდეგში თურქეთ-  
მა სძლია მოწინააღმდეგეს, დაიბრუნა წართმეული სამხრეთ-  
საქართველო და 1612 წელს სპარსეთ-ოსმალეთს შორის დადე-  
ბული ხელშეკრულების შედეგად იმერეთის სამეფოც ხონთ-  
ქარს დაემორჩილა, შაჰს კი ერევანი, ქართლი და კახეთი.

1608 წელს მესხეთში ორ მაპმადიანურ სახელმწიფოს —  
სპარსეთ-ოსმალეთს შორის დანობებული ომის ცეცხლი ხიზა-  
ბავრასაც მისწვდა. ლეკებმა აახრეს, გადაწვეს და გააპარტა-  
ხეს სოფელი.

სპარსეთ-ოსმალეთს შორის ომის ქარცეცხლში გადაზრ-  
დილმა შულლმა და მტრობამ XX საუკუნის მეორე ათწლეუ-  
ლის მიწურულამდე გასტანა. 1918 წლის 15 ივნისს ქემალ-ფა-  
შამ კვლავ დაიპყრო სამცხე-ჭავახეთი აწყურიდან ბაკურიანის  
უღელტეხილამდე. მომხდეურთ ხელთ იგდეს ახალციხე, აღიგე-  
ნი, ასპინძა, ახალქალაქი, ბოგდანოვკა და არტაანის შემოგარე-  
ნი. ძალდატანებით გამაპმადიანებისა და აურაცხელი გადასახ-  
ლებისაგან შევიწროებულმა ასამდე სოფელმა მიატოვა მიმაპა-  
პეული სახლ-კარი, ცხვარ-ძროხა და საცხოვრებლად ბორჯო-  
მის რაიონში გაიხიზნა. ამ დროს იფეთქა ეპიდემიამ, რამაც მო-  
სახლეობის ნახევარი იმსხვერპლა. მენშევიკურმა მთავრობამ,

ზოგიერთ სხვა სოფლის მცხოვრებლებთან ერთად, ხიზაბავრელები კახეთში, საგარეჯოს რაიონში გადასახლა.

1918 წლის 20 ნოემბერს სამცხე-გავახეთიდან ლტოლიშვილ მოსახლეობას საშუალება მიეცა გაპარტიახებულ სოფლებს და-ზრუნებოდნენ. გაიხარა მშრომელმა ხალხმა, მაგრამ ეს სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა 1919 წლის 5 ოქტომბერის სამცხე-გავახეთი კვლავ თურქეთის ხელში აღმოჩნდა. განრისხებულმა მტერმა სასტიკად იძია შური მშვიდობიან მოსახლეობაზე. სოფლის თავკაციი ტრიალ მინდორზე საჭაროდ დახვრიტეს, ზოგიც შიდა ოსმალეთში გადასახლეს. ვისაც ჯან-ღონე ერჩოდა, დიდთოვლობის მიუხედავად, თეთრობჭობარეთ-კოდიანის უღელტეხილით ბაკურიან-ციხისჭვრისაკენ გაიხიზნა.

ახალგაზრდობის ცალკეულმა ჯგუფებმა პ. დათაშვილის, ო. თენოშვილისა და ვ. კელოშვილის ხელმძღვანელობით ერთ ყინვიან ღამეს დატოვეს თურქთაგან ეგზეკუცირებული ხიზაბავრა და 120 კაცის შემადგენლობით ბორჯომში გადავიდნენ. გზაში ერთი გარდაიცვალა, ხოლო თერთმეტ კაცს ფეხები მოეყინა.

XVII საუკუნის დამდეგიდან აშკარად შეინიშნება რომის პაპის მისწრაფება ახლო აღმოსავლეთის ქრისტიანულ ქვეყნებში და მათ შორის საქართველოშიც კათოლიკური სარწმუნოების გავრცელებისაკენ.

ამ მიზანს ემსახურებოდა 1629 წელს რომში დიპლომატიური მისიით ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის (იგივე ნიკიფორე ირბახის) შემწეობით კათოლიკე პატრიების მიერ ქართული წიგნების „ქართულ-იტალიური ლექსიკონისა“ და „ქართული ენის გრამატიკის“ გამოცემა. მათ დანიშნულებას წარმოადგენდა საქართველოში კათოლიკობის გასავრცელებლად მოვლინე-

ბული მისიონერებისათვის ქართული ენის შესწავლაში დახმარების აღმოჩენა.

კათოლიკობის გავრცელების მიზანს ემსახურებოდა და მარტინ ლუთერი თვე იტალიელი პატრიების საკმაოდ აქტიური შემუშავების მოღვაწეობა XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან გორსა და სამეგრელოში.

XVIII საუკუნის დამდეგიდან კათოლიკობის გავრცელებამ ფართო ხსიათი მიიღო მესხეთ-ჯავახეთშიც. ამით ისარგებლეს თურქეთის აგენტურის მიერ მოსყიდულმა სხვადასხვა ჯურის ანაფორიანმა საქმოსნებმა და ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების საზიანოდ ხელი მიჰყვეს ათასგვარ მაქინაციებს. ეს უპირველეს ყოვლისა გამოვლინდა ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობის მამაპაპისეული სარწმუნოების მოტყუების გზით შეცვლაში. სამცხე-ჯავახეთის ძველ მართლმადიდებლურ ქრისტიანულ ეკლესიებში მღვდელ-დიაკვნებად მოკალათებული ღვთისმსახურნი თვითნებურად უცვლიდნენ ადგილობრივ მოსახლეობას გვარებს, სახელებს, ეროვნებასაც კი. ამ მხრივ საინტერესოა ხიზაბავრელი კალაიჭიშვილების საგვარეულოს ისტორია.

ხიზაბავრაში შემორჩენილი ძველი გადმოცემის თანახმად კალაიჭიშვილების ნამდვილი გვარი ადრე აბაზაძე ყოფილა. ამ გვარის ერთ-ერთ წარმომადგენელს მკალავ (მკალავი—თურქულ ენაზე კალაიჭი) გიორგის ჭობარეთელი ქალი შეურთავს ცოლად. წლისთავზე ვაჟიშვილი შესძენიათ. ბავშვი ხიზაბავრის წმინდა მარიამის ეკლესიაში მოუნათლავთ.

ბავშვი აბაზაძის მაგივრად კალაიჭიშვილად გაუტარებია.

საყურადღებოა აგრეთვე ველიჭანაშვილების საგვარეულოს ისტორია.

თურქთაგან მიტაცებულ არტაანის რაიონში, ჩილდირის

ტბის მახლობლად დღესაც მდებარეობს ძველი ქართული სოფელი ველი, რომელიც საუკუნეთა მანძილზე ოსმალოფლებული მიუვალ სიმაგრედ ითვლებოდა. იგი გარშემორტყმული სოფელი თავდაცვითი სახეობის სამი მონუმენტური ნაგებობით: ჩილდირის ციხით, თეთრი ციხითა და ველისციხით. XV—XVI საუკუნეებში საქართველოსა და თურქეთს შორის ურთიერთობის გამწვავების შედეგად დაწყებულმა ბრძოლებმა შეიწირა სოფლის მოსახლეობა, გაპარტახდა და განადგურდა ველი. 1595 წლისათვის თურქეთის მიერ დაპყრობილ ამ სოფელში მარტო 30 კომლსლა უცხოვრია<sup>1</sup>.

გამუდმებული ომებით შევიწროებული მოსახლეობა თანდათანობით აყრილა ველიდან და სხვადასხვა მხარეს გახიზნულა. ეს სოფელი დაუტოვებია ველიჯანაშვილების წინაპარს. გიორგი ჯანათს და თავისი ცოლ-შვილით ხიზაბავრაში გადმოსახლებულა. აქ სოფელს მისთვის სამოსახლო ადგილი გამოუყვია და სახნავ-სათესი მიწებიც მიუცია. გამრჯე და გულმართალ ახალ მოსახლეს მალე მთელი სოფლის პატივისცემა დაუმსახურებია.

ასეთივე ავტორიტეტი მოუპოვებია არტაანიდან ხიზაბავრაში გადმოსახლებულ გიორგი ჯანათის ვაჟიშვილს—ემირგულს, რომელსაც მიტოვებულ სოფელზე დარდი და ფიქრი მოსვენებას არ იძლევდა. მშობლიური მხარისადმი სიყვარულისა და არდავიწყების ნიშნად ემირგულს მამაპაპისეული გვარისათვის წინ თავისი სოფლის ველის სახელი დაუმატებია, რის შედეგადაც წარმოიშვა ახალი მესხური გვარი ველიჯანაშვილი.

საისტორიო წყაროების მიხედვით ეს დაახლოებით 1580 წელს უნდა მომხდარიყო. ყურადღებას იქცევს 1610 წელს

1 შ. ლომსაძე. მესხეთ-ჯავახეთი, 1975, გვ. 363.

თურქების მიერ დასაბეგრად აღწერილი ხიზაბავრის მოსან-  
ლეობის სია, რომელშიც სოფლის სხვა მცხოვრებთა შორის  
ველიჭანა ემირგულის ძეც იხსენიება<sup>1</sup>.

გადმოცემის თანახმად სოფელ ველიდან ხიზაბავრის გად  
მოსახლებულ გიორგის ემირგულის გარდა უფროსი შვილიც  
ჰყოლია — პეტრე. ეს უკანასკნელი ხელობით მჭედელი ყოფი-  
ლა და ახალციხეში, ე. წ. რაბათში დასახლებულა, თავისი გვა-  
რი — ჯანათი ჯანაშვილად დაუტოვებია. აღსანიშნავია, რომ  
მისი შტო დღესაც ატარებს მესხეთში ამ გვარს. ჯანაშვილები  
საქმაო რაოდენობით ცხოვრობენ ვალესა და სოფელ არალში.

პეტრე ჯანაშვილს როგორც ხელმარჯვე ოსტატს, დროთა  
განმავლობაში საქმაოდ დიდი ქონება შეუძენია და გავლენიანი  
კაცის სახელიც მოუპოვებია ახალციხეში. ყოველივე ამის გა-  
მო ჯანაშვილების გვარის მიღებაზე დღენიადაგ ოცნებობდნენ  
წვრილი ვაჭრები, განსაკუთრებით კი ახალციხის რაბათის ებ-  
რაელები და ზოგიერთ მათგანს საწადელისთვისაც მიუღწე-  
ვია — ჯანაშვილად დაწერილა.

XIX საუკუნის დამდეგისათვის პეტრე ჯანაშვილის შთამო-  
მავალი — ანტონი ახალციხეში შეძლებული ვაჭრის სახელით  
ყოფილა ცნობილი. მისი ასული თერეზინა ჯანაშვილი დედა  
იყო თავის დროზე დიდი პატრიოტისა და ქველმოქმედი ახალ-  
ციხელი ვაჭრის ოანე ნებიერიძისა<sup>2</sup>.

არტანელი გიორგი ჯანათის უმცროსი ვაჟი ემირგული  
ხიზაბავრაში მშობლებთან დარჩენილა საცხოვრებლად. მას  
ორი შვილი შესძენია: მახა და ველიჭანა. მახას შტო ხერთვის-

1 ს. ჯიქია. გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარი, II, 1941,  
გვ. 176.

2 შ. ლომსაძე. მესხეთ-ჯავახეთი, გვ. 508.

ში გადასახლებულა, ველიჯანასი კი ხიზაბავრაში დამკვიდრებულა სამუდამოდ.

ველიჯანას სამი შვილი ჰყოლია: პეტრე, დავითი და მერუსა და გიორგი. გი. 1650 წელს პეტრეს შვილებს პავლეს, ანდრიასა და ვაჟას შედაველაზე ლევები დასხმიან თავს, გაუძარცვავთ და სამივე თავიანთი ცოლ-შვილით დაღესტანში წაუყვანიათ. 13 ოჯახი-საგან შემდგარი მათი შთამომავლები დღეს დაღესტანში, ქალაქ სიაზანში ცხოვრობენ და ველიჯანოვებად იწერებიან!

ველიჯანას მეორე ვაჟი დავითი ცნობილი მოჭიდვე იყო. 1625 წელს ხერთვისში ოსმალების წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში გმირობისათვის დავითი გიორგი სააკადეს ხიზაბავრიდან ცოლშვილიანად სოფელ ნოსტეში წაუყვანია და იქ დაუსახლებია. ამის შემდეგ დავით ველიჯანაშვილს თავისი ძირძელი გვარი ხიზამბარელით შეუცვლია<sup>2</sup>.

ველიჯანას მესამე შვილს — გიორგის თავი გამოუჩენია ერისა და ქვეყნისადმი დიდი ერთგულებით. მართლმადიდებლობის გამო თურქთაგან დევნილი იძულებული გამხდარა 1630 წელს ქართველობის შენარჩუნების მიზნით კათოლიკობა მიეღო, რათა რომის პაპის თანამორწმუნეთ და საფრანგეთის ქვე-შეერდომად ალიარების შედეგად გათურქებისაგან თავი დაეღწია. ველიჯანაშვილების საგვარეულოში ამის შემდეგ ფეხს იკიდებს კათოლიკობა, რომელსაც მოსდევს მთელი სოფლის გაკათოლიკება.

მესხეთ-გავახეთში კათოლიკობა ფართო გავრცელებას პოულობს XVII საუკუნის დამდეგიდან. რომის ეკლესიის მიერ გამოგზავნილმა კაპუცინებმა ადგილობრივი მოსახლეობის

1. მ. ველიჯანაშვილის მიერ აღმოჩენილი 1963 წ.

2. მ. ველიჯანაშვილი. ხიზაბავრის მეგზური 1974 გვ. 27-31.

2. მ. ველიჯანაშვილი

ქართველი ახალგაზრდები საზღვარგარეთ — ძირითადად მო-  
მის, ვენეციისა და კონსტანტინოპოლის — სასულიერო სას-  
წავლებლებში გაგზავნეს, ისინი სამშობლოში სამი-ოთხი წლის  
შემდეგ ბრუნდებოლნენ და, ეროვნული ინტერესებიდან გა-  
მომდინარე, სათავეში უდგებოდნენ კათოლიკური საოცმულოე-  
ბის გაცრცელებას, ანუ ქართველ ხალხში „ევროპული კულ-  
ტურის შეტანას“.

მრავალმა ახალგაზრდამ მიიღო სწავლა-განათლება უცხო-  
ეთში. მაგალითად, მარტო ხიზაბავრიდან 1712 წელს უცხოეთ-  
ში გაიგზავნა ზურაბ ზუბალაშვილი, 1714 წელს — ივანე აიგა-  
ზაშვილი, 1718 წელს — პავლე ინსკანდარაშვილი, 1736 წელს —  
პავლე ხუციშვილი (გოდებაძე), 1739 წელს — იაკობ ფეიქრი-  
შვილი, 1765 წელს — პეტრე ხუციშვილი, 1770 წელს — ან-  
ტონ ხუციშვილი, 1805 წელს იოსებ დათაშვილი, 1831 წელს —  
ივანე გვარამაძე, 1883 წელს — კოსტა საფარაშვილი და  
სხვები.

უცხოეთში სწავლა-განათლება მიღებულმა ბევრმა ახალ-  
გაზრდამ შემდეგში გარკვეული წვლილი შეიტანა ქართული  
მეცნიერული აზრისა და ეროვნული კულტურის განვითარების  
საქმეში. ამ მხრივ აღსანიშნავია ხიზაბავრელი დომინიკე ივა-  
ნეს ძე მუღაშაშვილის დამსახურება.

დომინიკეს წინაპრები ახალციხელი პატაძეები ყოფილან.  
1600 წელს თურქებს გამოქცევიან და ხიზაბავრისათვის შეუ-  
ფარებიათ თავი, მაგრამ გარკვეული მსხვერპლი მაინც გაუ-  
ლიათ. კათოლიკობის მიღების შემდეგ აბაზაძეების მსგავსად  
ისინიც პატაძეების ნაცვლად რატომლაც მუღაშაშვილები გამ-  
ხდარან.

დომინიკე 16 წლამდე ხიზაბავრაში იზრდებოდა. მამამისი  
ივანე მუღაშაშვილი იმ დროს „ბარბარის“ სახელით ცნობილი



අංක මිනින්දෝ මූලාශ්‍ර ජ්‍යෙෂ්ඨ

დარიბი, უმიწაწყლო, სოფლის უბრალო დალაქი ყოფილა. ეწეოდა აგრეთვე ექიმბაშობასაც: კბილის ამოღებას, სტამბოლის გამოშვებას, იარების მორჩენას და სხვა. დომინიჭმაშვილი კარ-ლებელი იყო ცნობილი პედაგოგი, მკვლევარი და პუბლიცისტი ხიზაბავრელი მღვდელი ივანე გვარამაძე, რომელიც „ვინ-შე მესხის“ ფსევდონიმით თანამშრომლობდა მაშინდელ ქარ-თულ უურნალ-გაზეთებში. მან მ. თამარაშვილთან და ო. მერა-ბიშვილთან ერთად დომინიჭმა გაგზავნა სტამბოლში პეტრე ხარისჭირაშვილის ქართველ კათოლიკთა მონასტერთან არ-სებულ სასულიერო სასწავლებელში. იქ მას დახვდნენ მეს-ხეთ-ჯავახეთიდან უფრო ადრე გაგზავნილი ქართველი ახალგა-ზრდები ო. ბათმანიშვილი, მ. ანტონიშვილი, შ. ვარდიძე და სხვები.

პეტრე ხარისჭირაშვილის მიერ სტამბოლში დაარსებულ ქართულ ეკლესიასთან სასულიერო სასწავლებლის გარდა მოქმედებდა ეროვნული სტამბაც, სადაც სხვადასხვა დროს აქტიურად შრომობდნენ მესხეთ-ჯავახეთიდან იქ სასწავლებ-ლად მივლინებული ახალგაზრდები შემდეგში ცნობილი მთარ-გმნელი ანდრია წინამძღვრიშვილი, მკვლევარი ალექსანდრე ბათმანიშვილი, სარატოვის სასულიერო სემინარიის რექტორი მიხეილ ანტონაშვილი, პედაგოგი იოანე გიორგაძე, ბეირუთის უნივერსიტეტის პროფესორი ემანუელ ვარდიძე, თავის დრო-ზე გამოჩენილი ექიმი იოსებ მერაბაშვილი და სხვები.

ამ პირთა სასულიერო სემინარიაში სწავლის პერიოდში მა-თი უშუალო მონაწილეობით სტამბოლის ქართულ სტამბაში დაიბეჭდა შემდეგი წიგნები: „ყვავილების კონა“, „გზა ცხოვ-რებისა“, „მოკლე რიტორიკა“ და ო. შ. 1877—1881 წლებში ამ სტამბაში გამოიცა 25 დასახელების ქართული წიგნი. მეს-ხეთ-ჯავახეთიდან გაგზავნილი ქართველი ახალგაზრდების ამ-

გვარ დიდ ეროვნულ წამოწყებას მაღალი შეფასება მისცა  
იმდროინდელ პერიოდულ პრესაში ი. ჭავჭავაძემ, ა. წერეთელ-  
მა, პ. უმიკაშვილმა, ი. ნიკოლაძემ, დ. ბაქრაძემ, ა. ციბაზრულშვილი,  
ა. ხახანაშვილმა, მ. ჯანაშვილმა, ი. გოგებაშვილშვილშვილი.

სტამბოლში სწავლის პერიოდში პეტრე ხარისჭირაშვილს  
საზოგადოებრივ-საქველმოქმედო მოღვაწეობაში ზემოჩამოთ-  
ვლილ ქართველ ახალგაზრდებთან ერთად გვერდში ედგა და  
ყოველმხრივ დახმარებას უწევდა დომინიკე მუღაშაშვილიც.  
1890 წელს იგი ამთავრებს სემინარიას და სტამბოლიდან სამ-  
შობლოში ბრუნდება. ერთხანს დომინიკე ხიზაბავრაში მოღვა-  
წეობდა, შემდეგ ახალციხეში, გორსა და თბილისში.

1906 წელს დომინიკე მუღაშაშვილი თბილისში აარსებს  
უურნალს „გვარი ვაზიას“, რომელიც შემდეგ ყოველყველეულ  
საეკლესიო-საზოგადოებრივ გაზეთად გადაკეთდა. ამ ორგა-  
ნომ დიდხანს ვერ იარსება. სულ 18 ნომერი გამოვიდა და და-  
იხურა. აღსანიშნავია, რომ მე-12 ნომერში დაიბეჭდა ცნო-  
ბილი ისტორიკოსის მოსე ჯანაშვილის საქართველოს ისტორი-  
ის I ტომის მასალები უძველესი დროიდან 985 წლამდე.

1908 წელს დ. მუღაშაშვილი სამოღვაწეოდ გორში გადადის.  
აქ მან შეიტყო, რომ სოფელ სკრაში სახელმწიფო ბანკის მეშ-  
ვეობით იყიდებოდა აუთვისებელი მიწის ნაკვეთები. დომინი-  
კეს ინიციატივითა და ხელშეწყობით 1910 წელს 25 კომლისა-  
გან შემდგარი ხიზაბავრელი ღარიბი უმიწაწყლო გლეხები  
სტოკებენ მამაპაპეულ სოფელსა და სკრაში გადმოდიან სა-  
ცხოვრებლად.

თავისი ქვეყნის დიდი პატრიოტისა და მაშვრალთა ერთგუ-  
ლი ქომაგის დ. მუღაშაშვილის ეს ღონისძიება სოფელ სკრის  
ბობოლებმა მათ საწინააღმდეგო აქტიად მიიჩნიეს და შურისძი-

ება გადაწყვიტეს. მათ დანაშაულებრივი კავშირი დამყარებული იმ დროისათვის ცნობილ ყაჩალ ვინმე ხუციშვილთან, რომელმაც 1911 წლის 12 ნოემბერს სოფელ ბეთლემში, ანუ ანთლი ხიზაში დ. მუღაშაშვილს დამით ხანჭლით სიცოცხლე მოუტარათ.

უცხოეთში სწავლა-განათლება მიღებული ქართველებიდან აღსანიშნავია შემდეგი ცნობილი ისტორიკოსი მიხეილ პეტრეს ძე თამარაშვილი. პაპამისი სოლომონი 1780 წელს ხიზაბავრის თემში შემავალ სოფელ თოვიდან აყრილა და ახალციხის რაბათში გადმოსახლებულა. სოლომონის მსგავსად პატიოსანი, მშრომელი კაცის სახელით ყოფილა ცნობილი აგრეთვე მისი შვილი პეტრეც, მიხეილის მამა, რომელსაც არღელი ბათმანიშვილების ქალი გაიანე ჰყოლია ცოლად. პეტრესა და გაიანეს დროთა განმავლობაში 10 შვილი შესძენიათ. აქედან 8 ვაჟი და 2 ქალი.

მიხეილი 1858 წელს დაბადებულა ახალციხეში. დაწყებითი განათლება მას თავის და-ძმებთან ერთად დედის ზედამხედველობით მიუღია, შემდეგ კი მშობლებს იგი ივანე გვარამაძის ახალციხის „ქვემო ეკლესიის“ სამრევლო სკოლაში მიუბარებიათ. აქ მას ცოდნის შეძენისადმი დიდი მისწრაფება გამოუჩენია, რის გამოც სამრევლო სკოლის დამთავრების შემდეგ ივ. გვარამაძეს იგი სტამბოლში პეტრე ხარისჭირაშვილის მიერ დაარსებულ სასულიერო სემინარიაში გაუგზავნია სწავლის გასაგრძელებლად<sup>1</sup>.

სტამბოლში სწავლისას მიხეილი საფუძვლიანად დაუფლებია ფრანგულ და ლათინურ ენებს. 1882 წელს სემინარიის

1 მ. თამარაშვილის ცხოვრება-მოღვაწეობაზე ვრცლად იხ. შ. ლომსაძის წიგნი „მ. თამარაშვილი“, 1964.


წარჩინებით დაშთავრების შემდეგ პ. ხარისჭირაშვილს „სამონასტრო ძმობის“ ხარჯით იგი ესპანეთში გაუგზავნია მაღალი ტიპის სასულიერო სემინარიაში სწავლის გასაგრძელებლათ რამდენიმე წლის შემდეგ სემინარიადამთავრებული მიხეილი კონსტანტინოპოლში ბრუნდება, საღაც თავისი ყოფილი მასწავლებლის პ. ხარისჭირაშვილის ხელდასმით მღვდელობა მიუღია.

მიხეილი კონსტანტინოპოლში დიდხანს არ დარჩენილა. ცოდნის შეძენას მოწყურებული „სამონასტრო ძმობის“ ხარჯით ახლა საფრანგეთში გამგზავრებულა და პარიზის წმინდა ლაზარეს სახელობის სასულიერო აკადემიაში შესულა, რომელიც 1888 წელს წარმატებით დაუმთავრებია.


პარიზიდან მიხეილი ისევ კონსტანტინოპოლში ჩადის, იქიდან კი თბილისში ღვთისმშობლის მიძინების ქართულ კათოლიკურ ეკლესიაში იგზავნება მღვდლად. ამ დროიდან იწყება მისი, როგორც მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, ჩამოყალიბება. მიხეილის ინიციატივით დაწესდა ორნიშნულ ეკლესიაში წირვა-ლოცვის ქართულ ენაზე შესრულება, რის გამოც, რეაქციული კლერიკალური წრეების შთაგონებით, მთავარმართებელმა დუნდუკოვ-კორსაკოვმა თბილისიდან ახალციხეში გაასახლა.

ეროვნული პატრიოტული ინტერესების გამოვლენისათვის მ. თამარაშვილი ცარიზმის აგენტებმა ნაციონალისტად მონათლეს, საზღვარგარეთ სასულიერო ხარისხის მიღება დანაშაულად ჩაუთვალეს და მღვდლობა აუკრძალეს. ადგილობრივ ხელისუფალთა მიერ უმართებულოდ დევნილ-შევიწროებულ ღვთისმსახურზე ახალციხის უანდარმერიამ საგანგებო ზედამხედველობა დააწესა. ყოველივე ამის გამო, ივ. გვარამაძის დახმარებით, 1891 წელს იგი ტოვებს ახალციხეს და ოფიცია-

ეროვნული  
ბიბლიოთეკი



მიხეილ თამარაშვილი



ମିଶ୍ର ତାରକନୀଶ୍ୱରୀ

ლური ნებართვის გარეშე კონსტანტინოპოლში მიემგზავრება, იქიდან კი იტალიაში ჩადის და რომის სასულიერო ფულები მიის სტუდენტი ხდება. მიხეილმა ამჯერადაც გამოიწვია მუსიკური მუყაითი სწავლით, რის გამოც აკადემიის დამთავრების შემდეგ იქვე დატოვეს სამოღვაწეოდ. ამ დროს ეძლევა მას საშუალება გაეცნოს რომის პაპის უძველეს წიგნთსაცავს, პეტერბურგის, მოსკოვის, ლონდონის, პარიზის, ტრაპიზონის, ბეირუთის, ქართველისა და სხვა ქალაქების არქივებს, გულმოდგინედ აგროვებს საქართველოს წარსულის ამსახველ ღოყუმენტებს და 1902 წელს უკვე აქვეყნებს თავის ცნობილ მონოგრაფიულ ნაშრომს „კათოლიკობის გავრცელების ისტორია საქართველოში“.

მ. თამარაშვილმა, როგორც თავისი ქვეყნის დიდმა პატ-რიოტმა, შესანიშნავმა მკვლევარმა, ისტორიკოსმა სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისთანავე მიიქცია ფართო ქართველი საზოგადოებრიობის ყურადღება. ამიტომაც იყო, რომ იგი საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფო საზოგადოებაშ დაუსწრებლად აირჩია თავის წევრად.

1897 წელს გაზ. „ივერიაში“ პირველად გამოქვეყნდა ნაწყვეტები მ. თამარაშვილის შემდეგში ერთობ გახმაურებული ნაშრომიდან „კათოლიკობის გავრცელების ისტორია საქართველოში“, რამაც ისეთი დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ი. ჭავჭავაძეზე, რომ მასი მითითებით მ. თამარაშვილს უფასოდ ეგზავნებოდა „ივერიის“ ნომრები. მიხეილის ნიჭით აღფრთოვანებული ი. ჭავჭავაძე „ივერიაშივე“ წერდა: „სარწმუნოების სხვადასხვაობა ჩვენ არ გვაშინებს, ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ერთმანეთს კიდევ შევუერთდეთ, ერთმანეთი ვიძმოთ“. ილიამ მ. თამარაშვილის ზემოდასახელებულ ნაშრომს „მეორე ქართლის ცხოვრება უწოდა“.

სამწუხაროდ, ეს დიდი მამულიშვილი 1911 წლის 15 სექ-

ტემბერს რომის ახლო სააგარაკო სოფელ სანტა-მარინელასთან  
ადრიატიკის ზღვაში ტრაგიკულად დაიღუპა. იტალიელმა ხალ-  
ხმა ნიშნად დიდი პატივისცემისა სანტა-მარინელაში დაკრი-  
თა მისი ძეგლი, ხოლო იქაურმა მცხოვრებმა კრისტენტო  
კურციომ ამ მისთვის უცხო კაცის უპატრონო ცხედარი საგან-  
გებოდ დამზადებულ კუბოში ჩასვენა და ქალაქ ჩივიტავეკიას  
მონასტრის კედელში შესანახად მოათავსა.

1978 წელს მწერალ რ. თაბუკაშვილის ინიციატივით იტალი-  
იდან ჩამოსვენებული მ. თამარაშვილის ცხედარი ქართველ  
მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონის მი-  
წვდომის მიზანით დაგენერირდა.

დიდი ამაგი დასდო საქართველოს ისტორიის შესწავლის,  
ქართული კულტურის უცხოეთისათვის გაცნობას კიდევ ერთ-  
მა ღირსეულმა მამულიშვილმა მიხეილ სტეფანეს ძე თარხნიშ-  
ვილმა. იგი 1897 წელს დაიბადა ხიზაბავრაში. 1913 წელს სოფ-  
ლის ოთხკლასიანი, ე. წ. „საერთო სკოლის“ დამთავრების  
შემდეგ დომინიკე მუღაშვილის, პიო კელოშვილისა და  
კონსტანტინე შემაბერიძის დახმარებით სხვა ნიჭიერ მესს 14  
ახალგაზრდასთან ერთად მიხეილი კონსტანტინოპოლში გაიგ-  
ზავნა ქართველ კათოლიკეთა წმინდა ნინოს სახელობის სასუ-  
ლიერო სემინარიაში. 1917 წელს იგი ამთავრებს სემინარიას,  
და როგორც ნიჭიერი ახალგაზრდა, სწავლის გასაგრძელებ-  
ლად იგზავნება გერმანიაში — ზემო ბავარიის სოფელ ეთალ-  
ში არსებულ ცხრაწლიან, სამეფო გიმნაზიაში. მ. თარხნიშვილი  
1920 წელს წარჩინებით ამთავრებს აღნიშნულ გიმნაზიას და  
საქართველოში ბრუნდება. აქ იგი დიდხანს არ დარჩენილა  
მენშევიკური მთავრობის უგერგილო ხელმძღვანელობის გა-  
მო დაღუპვის კარამდე მისული სამშობლო ქვეყნის ბედით შე-  
წუხებული. ოთხი თვის შემდეგ სწავლის გაგრძელების მიზნით

სამუდამოდ ტოვებს საქართველოს და რომში მიემგზავრება.  
იქ იგი წარჩინებით ამთავრებს სასულიერო აკადემიის დაწყეტული  
ლიაშივე რჩება სამოღვაწეოდ.



სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული მ. თარხნიშვილი  
გატაცებით ეძებს ევროპის სიძველეთსაცავებში შემონახულ  
საქართველოს ისტორიის მასახველ საარქივო მასალებს და  
წერს ნაშრომებს ჩვენი ქვეყნის წარსულზე. მიხეილის შრომე-  
ბიდან აღსანიშნავია: „წმინდა ნინოს ლეგენდა და ქართული  
ეროვნული შეგნების ისტორია“, „სომხურ-ქართული წყაროე-  
ბი საქართველოს ეკლესიის ისტორიისათვის“, „უძველესი  
ქართული ლიტურგიკა“, „ქართული ხელნაწერები რომში“,  
„ბეთლემის ქართული წარწერები“, „გრიგოლ ბაჟურიანის ტი-  
პიკონი“, „ძველი ქართული საეკლესიო მწერლობა“, „ქარ-  
თულ-ფრანგული ლექსიკონი“ და სხვა.

მეცნიერულ მოღვაწეობასთან ერთად იგი ნაყოფიერ მთარ-  
გმნელობით მუშაობასაც ეწეოდა.

მ. თარხნიშვილი გარდაიცვალა რომში 1958 წლის 15 ოქ-  
ტომბერს.

რაკი ძელად ხიზაბავრაში კულტურულ-საგანმანათლებლო  
დაწესებულებები არ არსებობდა, ამიტომ იქაური ახალგაზრ-  
დების გართობის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული  
საშუალება ცხენების ჯირითში შეჯიბრი იყო. კვირა-უქმე  
დღეებსა და რელიგიურ დღესასწაულებში სოფლის ბოლოს,  
ტრიალ მინდორზე უამრავი ხალხი იყრიდა თავს სანახაობის.  
საყურებლად. ვის არ შეხვდებოდით აქ ხიზაბავრელებსა თუ  
ახლომახლო სხვა სოფლებიდან მოსულ სტუმრებს, დიდია  
თუ ბატარას, ქალსა თუ კაცს. იყო სიცილ-ხარხარი, ცეკვა-თა-  
მაში, სიმღერა. აქ ხდებოდა ხშირად მშობლების მიერ სასიძოსა

თუ საპატარძლოს შერჩევა, მომავალი ოჯახების საძირკვლის ჩაყრა.

ახალციხის მაზრაში შეუდარებელი ცხენოსნების სახელმწიფო იუვნენ ცნობილი ხიზაბავრელები სამსონ შემაზაშვილი, სტეფანე ფილიშვილი, ვასილ გორელიშვილი, კოხტა მექოშვილი, ივანე მაზმანიშვილი, პავლე ლეკიშვილი, ალექსანდრე ტატურაშვილი, ივანე ხუციშვილი, პავლე ფირფირაშვილი, ალექსი და იოსებ ველიგანაშვილები, იოსებ ბალიაშვილი და სხვები.

ხიზაბავრა ოდითგანვე ითვლებოდა ქართველი ფალავნების აღზრდის კერად. გადმოცემით ხიზაბავრაში ძველთაგანვე არსებობდა სპეციალურად მოწყობილი საჭიდაო მოედანი. აქ ძალების მოსასინჯად ჩამოდიოდნენ არა მარტო ახალციხე-ახალქალაქის, არამედ სხვა მაზრების მოჭიდავენიც. ყველას ემაყებოდა ხიზაბავრაში გამართულ ჭიდაობაში გამარჯვებული ფალავნის სახელის მოპოვება.

სხვადასხვა დროს ხიზაბავრამ საქართველოს აღუზარდა ისეთი სახელოვანი მოჭიდავეები, როგორიც იუვნენ: 1600 წელს დავით და გიორგი ველიგანაშვილები, ანუ ხიზაბავრელები, 1660 წელს — როსტომ ველიგანაშვილი, 1700 წელს — როსტომ დათაშვილი, 1720 წელს — გოგია ველიგანაშვილი, 1770 წელს — გიორგი ხიზამბარელი, რომელიც ერქევლე მეორეს ფალავნის სახელითაც იყო ცნობილი, 1815 წელს — პავლე ტატურაშვილი, 1900 წელს — კონსტანტინე კალაიჯიშვილი, 1910 წელს — ალექსი თენოშვილი (პაპაშვილი), 1915 წელს — სტეფანე ქუქჩიშვილი და სხვები.

აღსანიშნავია, რომ ხიზაბავრაში მამაკაცებთან ერთად ჭიდაობას ქალებიც მისდევდნენ. თავის დროზე ცნობილ მოჭიდავეებად ითვლებოდნენ ქვრივი კატო ველიგანაშვილი და ანა პაპაშვილი (ანაბაჯი).



ଦାଵିତ ଶିଥାମଦାର୍ଯ୍ୟଲି  
(୩. ସିଦ୍ଧାମନିଦୀର ପାରାପଦିତ) ମହାତ୍ମାର ଏଣ. ମର୍ଯ୍ୟାଦିଶ୍ଵିଲି.

ხიზაბავრაში იყვნენ მოჭიდავეები რომელთაც დამარცხება  
არ განუცდიათ. ასეთ ფალავანთა რიცხვს ეკუთვნოდნენ როს  
ტომ და დათა ველიჭანაშვილები. მათი ქების ამბავი პატიჟუ-  
თის სულთანსაც შეუტყვია, დაინტერესებულა და ხილის აუგუ-  
ლი მოჭიდავენი სტამბოლში გამართულ ტრადიციულ შეჯიბრ-  
ში მონაწილეობის მისაღებად მიუწვევია. როსტომს და დავითს  
არც იქ შეურცხვენიათ თავი, ყოველი შეხვედრა გამარჯვებით  
დაუმთავრებიათ, რის გამოც სულთანს ისინი უხვად დაუსა-  
ჩუქრებია.

XX საუკუნის დამდეგისათვის ხიზაბავრელი ფალავნების  
შეჯიბრის არენას სოფლის თავში მდებარე ხუციშვილების კა-  
ლო წარმოადგენდა. უამრავი ხალხი იყრიდა ხოლმე აქ თავს  
ჭიდაობის სანახავად.

ჭიდაობის დამთავრების შემდეგ, როგორც წესი, შუალა-  
მემდე იმართებოდა ცეკვა-თამაში. ხელისხმაკიდებული ხალ-  
ხი მთვარის შუქზე უვლიდა ფერხულს და ომახიანი ხმით „დი-  
დებას“ მღეროდა.

„დიდება ღმერთსა უფალსა,  
დიდება ერსა, მამულსა,  
დიდება დავით მეფესა,  
წმინდა გოორგის ჯვარისა.  
დიდება მეფე თმარსა,  
დიდება ბრძენ რუსთაველსა,  
მესხი კაცის გულსა-სულსა.  
დიდება სააკაძის ხმალს,  
მხარგრძელ-თორელთა მარჯვენას,  
დიდება ვახტანგ მეფესა,  
საქართველოს ტურფა მზესა.  
დიდება მეფე ერეკლეს,  
საქართველოს ჭირის მხსნელსა,

ანი შემოდგომით მათი სოფელში დაბრუნება მთელი თვე  
მანძილზე ქეიფითა და დროსტარებით აღინიშნება.

ასეთი ზეიმით აღინიშნებოდა მეცხვარეთა შინ დაბრუნების  
ხიზაბავრაშიც, რასაც „არიფანობა“ ეწოდებოდა. ხიზაბავრე-  
ლი მეცხვარებისათვის ხელმოკლეობა და გაჭირვება განუ-  
შორებელი წილხვედრი იყო. ამით უნდა აიხსნას მათ შორის  
რძის სესხის სახით, ანუ ჭიდით ერთმანეთში რიგ-რიგობით გა-  
ცემა, რასაც „ხანული“ ეწოდებოდა.

მეფის მთავრობის მიერ შეწერილი ათასგვარი ბეგარა-  
გადასახადებით წელში გაწყვეტილი ხიზაბავრელი გლეხო-  
ბა, სხვა გამოსავალი რომ არ ჰქონდა, ერთმანეთს ეშველებო-  
და შრომაში. ერთი მეზობელი მეორეს ამოუდგებოდა ხოლმე  
გვერდში მიწის მოხვნაში, თოხნაში, მკაში, კალოს გალეწვაში.  
ამგვარ ურთიერთდამხმარე შრომას „მოდგამი“ ერქვა სახე-  
ლად. აღსანიშნავია, რომ შრომის ამ წესში კიდევ უფრო და-  
ახლოვა და დაანათესავა ერთმანეთთან სხვადასხვა ოჯახი.

ერთგვარი სანახაობრივი ხასიათი ჰქონდა სოფელში მთი-  
დან დაბრუნებულ მეცხვარეთა ძალების ჭიდილს.

ახალგაზრდების ჯგუფი ჭიგორების ქნევითა და ყვირილ-ყი-  
უინით ერთმანეთს უსისინებლნენ წრეში მომწყვდეულ, გაავე-  
ბულ, ბალანაბურძგნულ ბომბორა ძალებს.

ხიზაბავრა მაღალ, მოშიშვლებულ გორაკებსა და ქვა-  
კლდოვან ქარაფებზეა შეფენილი. აქ მეტად მკაცრი, ხანგრძ-  
ლივი ზამთარი იცის.

სოფელს უკანა მხრიდან მეტ-წილად დახრილი ფერდობე-  
ბი ეკვრის, რომლებიც ამ ასიოდე წლის წინათ ფოთლოვან-  
წიწვოვან სახელმწიფო სანადელო ტყით ყოფილა დაფარული.  
1861 წელს, რუსეთში ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ეს  
ტყეები ხიზაბავრელ გლეხობას გაუჩეხავს და მთელი ის ტერი-  
3. მ. ველიგანაშვილი

ტორია სახნავ-სათესად გაუხდია. ამან ერთგვარად გამოაცემა  
მთავრობის ათასგვარი ბეგარა-გადასახადებით წელში გაწყვე-  
ტილი მცირე მიწების მქონე გლეხობის სიღუხჭირით ზოგჯერ  
მძიმე ექონომიკური ცხოვრება.

სოფელს, 12 კილომეტრზე ესაზღვრება სწორი სახნავ-სა-  
თესი მინდორი, სადაც ხიზაბავრელებს მოჰყავთ მარცვლეული  
კულტურები და კარტოფილი. მინდვრის ბოლოდან კი იწყება  
ხუთი კილომეტრი სიგრძისა და 60—80 გრადუსის დახრილო-  
ბის რეასი მეტრის სიღრმის უფსკრული, რომლის თხემიდა-  
ნაც ძლივს მოჩანს აქაფებული მტკვარი.

ხიზაბავრელები ოდითგანვე მიწის ნაკლებობას განიცდი-  
დნენ, ამიტომ მათ მთავრობიანი კლდოვანი ქანობები ტერასე-  
ბად დაუმუშავებიათ და ამ სავარგულებშივე ვენახებთან ერ-  
თად ხეხილის ბალები გაუშენებიათ. აქ ერთხანს შესანიშნავად  
ხარობდა ვაშლის 33, მსხლის 29, ყურძნის 26 ჯიში; ატმის;  
ბლის, ჭერმის, გარგარის, თუთის, ქლიავის, ჭანჭურისა და ვე-  
ება კაკლის ხეები.

ხიზაბავრის ტერასები, ანუ „ნამარნეები“, უხსოვარი დროი-  
დან ირწყვებოდა სოფლიდან 20 კილომეტრის დაშორებით  
მდებარე ჭობარეთის თეთრობიდან გამოყვანილი ჭობაურის  
წყლით, მაგრამ დროთა განმავლობაში ამ „არხით“ სარგებ-  
ლობა შეუძლებელი გახდა მდინარის ნაწილობრივი დაშრობის  
გამო. ხალხი იძულებული იყო მტკვრიდან ვედროებით ეზიდათ  
წყალი ტერასების მოსარწყავად, რაც ყოველდღიურ მძიმე  
ფიზიკურ შრომას მოითხოვდა. უწყლობის გამო გადახმა და  
აიჩეხა ბალ-ვენახები, მოუვლელობის შედეგად ჩამოინგრა  
ტერასები.

ძველად ხიზაბავრა გაჭირვებისა და სიღატაკის ბუდეს  
წარმოადგენდა. სოფლის თავში ერთადერთ ბოძზე შემდგარი

აიგანმოჩუქურთმებული ორსართულიანი ქვითკირის სახლი  
იდგა, რომელიც აქაურ სოფლის მღვდელს ეკუთვნოდა. ყმა-  
გლეხობა კი ერთმანეთზე მიყრილ ისლით გადახურულ ფარ-  
დალადა მიწურ ქოხმახებში ცხოვრობდა. თოთო-ოროლა კომურ  
კედელშემორღვეულ გაპარტახებულ ეზოში თუ დაკა-  
ნახვდით გაძვალტყავებულ ცხენს ანდა ძროხას. მთელი დღის  
ჩაუმუხლავი შრომა-გარჯით მოქანცული სოფელი შებინდე-  
ბისთანავე იძინებდა.

სოფლის ატალახებულ გზებსა და ეზოებში ზამთარ-ზა-  
ფხულ ფეხშიშველა დარბოდნენ შიმშილისაგან სახეშესივებუ-  
ლი, გაყვითლებული ბავშვები. წლიდან წლამდე მძვინვარებდა  
ათასგვარი ინფექციური დაავადება: შავი ჭირი, ქოლერა,  
ქუნთრუშა, წითელა, ხუნაგი, ჩუტყვავილა და სხვა. მაღალი  
იყო სიკვდილიანობის პროცენტი.

ხიზაბავრელი გლეხების სიღუხჭირებზე მეტყველებს ერთი  
ისტორიული ფაქტი. სოფლის ახლოს მდებარეობს კლდოვანი  
ტყით დაფარული სამად განშტოებული ხეობა, რომლის ჩიხო-  
რიშად სახელდებულ კალთობზე დღესაც დგას მრავლის მო-  
მსწრე ხუთი ეკლესია. იქვეა IX—XII სს-ში აგებული უპატ-  
რონო ბავშვთა თავშესაფარი ციხე-სიმაგრე, რომელსაც ობო-  
ლეთი ჰქვია. საისტორიო წყაროების თანახმად, იგი თორელ  
ჯავახიშვილებს აუშენებიათ ობოლთა თავშესაფარად და აღ-  
საზრდელად. აქვე ყოფილა გიხსნილი სასწავლებელიც.

\* \* \*

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემ-  
დეგ ხიზაბავრამ მთლიანად იცვალა სახე. ბედუკულმართი წარ-  
სული ისტორიას ჩაბარდა. დღეს სოფელში ობოლთა თავშე-

საფრისა და მიწური ქოხმახების ნაცვლად ლარივით გაჭიფული ქუჩების ორივე მხარეს ერთიმეორის მიყოლებით ჩარიგებულია შიფერითა და თუნუქით გადახურული ორსატოულფლული ნი სახლები. თითქმის ყველა ეზოში შენიშვნავთ მსუბუქ და მანქანას.

სოფლის თავში ოდესლაც ამაყად გადმომდგარ მღვდლის ორსართულიან სახლში დღეს საბავშვო ბალია. ვერ ნახავთ ვერც ერთ სახლს, რომ ელექტრონით არ იყოს განათებული. კოლმეურნეთა მაღალჭერიან, მზით სავსე ნათელ ბინებს ამ-შვენებს ძვირფასი, ლამაზი ჭალები, სამამულო და უცხოური წარმოების ავეჯი, ფერადი ტელევიზორები, რადიომიმღებები და სხვა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ სჭრაფი ტემპით წყო მატება სოფლის მოსახლეობამ. გამრავლება შეინიშნება მთელ რიგ საგვარეულოებში, შათ შორის ველიგანაშვილებშიც. დღეისათვის ამ გვარის შთამომავალნი ბედნიერად ცხოვრობენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. კერძოდ, ასპინძაში 18 კომლია, ახალციხეში 5, ადიგენში — 15, ზესტაფონში — 3, ქუთაისში — 8, მახარაძეში — 7, ქობულეთში — 8, გაგრაში — 3, გორში — 10, თბილისში — 15, რუსთავში — 14, ყვარელში — 15, ლაგოდეხში — 17, ხოლო ხიზაბავრაში — 16. დღეისათვის საქართველოში ცხოვრობს ველიგანაშვილების 164 ოჯახი, გათხოვილი ქალების ჩათვლით კი მათი რაოდენობა მთლიანად 501 ოჯახით განისაზღვრება, რომელთა წევრთა რიცხვი 1900 უდრის.

1929 წელს ხიზაბავრაში კოლმეურნეობა ჩამოყალიბდა. სოფლის ბობოლა გლეხები წინააღმდეგი იყვნენ სასოფლო-სამეურნეო არტელის შექმნისა. ისინი გაჰყვიროდნენ: „არ გვინდა კოლმეურნეობა, არტელში არ შემოვალთ, მიწას არ

მოგცემთ, სოფელს ცეცხლს მივცემთ!“ მაგრამ ხიზაბავრელ  
კომუნისტთა მოწინავე ჯგუფმა დაარწმუნა გლეხობა კოლექტური  
ტიური მეურნეობის უპირატესობაში. პირველი კოლმეტრული მომენტი და  
ბის წევრები გახდნენ: ბაგრატ პაპაშვილი, ბაგრატ ყრუაშვილი,  
კოსტა ყრუაშვილი, ლევან ველიგანაშვილი, კატო ველიგანაშ-  
ვილი, იოსებ ველიგანაშვილი, გაბო ველიგანაშვილი, ფანქო  
მაზმიშვილი, იოსებ ანთაძე, მიხა ლეკიშვილი, პეტრე პაპაშვი-  
ლი, მამუკა ქუქჩიშვილი, გასპარ ტატურაშვილი, ნინა ზურა-  
ლი, ქაშვილი, ქიტე დათაშვილი, კეკელა დათაშვილი, პეტრე მა-  
ზაშვილი.

ზაჟილი. ახლად ჩამოყალიბებული კოლმეურნეობის საკუთრებას წარმოადგენდა: 25 ჰექტარი სახნავ-სათესი მიწა, 18 სული ხალი, 1 ხის გუთანი, 2 ჯილდა, 7 კევრი, 9 დიდი უღელი და 11 პატარა უღელი, ტყავის 13 ასაკავი, 22 მეტრი სიგრძის ჯაჭვი, 8 წყვილი რეინისა და 35 წყვილი ხის ტაბიკი, 2 ურემი და სხვა! 15 ათ ატარი ძოვირი სა-

და სხვა.<sup>1</sup> ბიზაბავრის კოლმეურნეობა ერთ-ერთი ძლიერი სა-  
ღლეს, ხიზაბავრის კოლმეურნეობა არტელია მთელ მესხეთ-ჭავახეთში. გას-  
სოფლო-სამეურნეო არტელია მთელ მესხეთ-ჭავახეთში. გას-  
ში გაერთიანებულია 346 კომლი, საკოლმეურნეო მინდვრებსა-  
თუ ფერგმებში შრომობს 760 წევრი. კოლმეურნეობის საკუთ-  
რებაშია 4362 ჰექტარი, აქედან ვარგისია 1300 ჰექტარი.

450 ჰარი სახნავ-სათესად არის გამოყენებული, 550 ჰა  
ტყის მასივებს უკავია, 450 ჰა—ვენახებს, 900 ჰექტარი საძოვ-  
რებს და ა. შ.

სოფლის მეურნეობის წამყვან დარგებად ხიზაბავრაში მე-  
მინდვრეობა და მებალეობა ითვლება. აქ მემინდვრეობის სამი  
და მებალეობის ერთი ბრიგადა არსებობს. ყოველწლიურად

იყრიფება და სახელმწიფოს ბარდება ასობით ტონა მაღალი  
ხარისხის მსხალი, ვაშლი და სხვა ხილი.

ეროვნული

კოლმეურნეობა დიდ ყურადღებას უთმობს მესტეტიკურული  
ბის განვითარებას. ხიზაბავრაში ამჟამად არსებობს მსხვილფე-  
ხა რქოსანი პირუტყვისა და მეცხვარეობის ფერმები. მათ შო-  
რის ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური. შეჯიბრება  
ხორცის, რძისა და მატყლის სახელმწიფოებისათვის მიყიდვის  
გეგმა-ვალდებულების გადაჭარბებით შესრულებისათვის. 1981  
წელს კოლმეურნეობამ ხორცის წარმოების დავალება შეას-  
რულა 104. 4 პროცენტით, რძისა—101-ით, მატყლისა 100-ით,  
ბოსტნეულისა—115. 9 პროცენტით.

ასპინძის რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანოების, სა-  
ზოგადოებრივი ორგანიზაციების ინიციატივით 1976 წელს და-  
იწყო ხიზაბავრის ტერასების აღდგენა. ყოველი კომლიდან  
ქუდზე კაცი გამოვიდა სამუშაოდ.

1977 წელი მნიშვნელოვანი თარიღია ხიზაბავრელებისათვის.  
ტერასების აღდგენაში მათ დასახმარებლად საზაფხულო არ-  
დადეგებზე ჩამოვიდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტე-  
ტის სტუდენტები. კოლმეურნეთა და ახალგაზრდების ერ-  
თობლივმა შრომამ დადებითი შედეგი გამოიღო. ქვა-ლორლით  
შემოიღობა ტერასები, რიყის ქვით ამოშენდა ჯებირები ტყი-  
დან სპეციალურად მოზიდული ნაყარი შავი მიწის შესაკა-  
ვებლად.

1978 წელს რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ სამი მილიონი  
მანეთი გამოყო ხიზაბავრის ტერასებისა და საერთოდ ამ სოფ-  
ლის სახნავ-სათესი ფართობების გასარწყავებისათვის. აშენდა  
წყალსაქაჩი, რომლის საშუალებითაც ოთხი კილომეტრის სი-

1 მ. ველიკანაშვილი, ხიზაბავრის მეგზური.

გრძეზე დამონტაჟებული ექვსას მილიმეტრიანი მტკვრის წყალი ხმაურით მიედინება სოფლის სავარგულებში. უფრო ღრულუმად აშრიალდა ხიზაბავრის ტერასებზე გაშენებული ბაღ-ვენახები, მწვანედ აბიბინდა სახნავ-სათესი საკოლმეურნეო ფართობები.

განსაკუთრებით საამო სანახავია ხიზაბავრა გვიანი შემოდგომით. თვალს ახარებს კოლმეურნეთა სახლების ეზოებსა და აივნებზე დახვავებული გამრჩე ხალხის ჩაუმუხლავი შრომით მოწვეული ჭირნახული.

ხიზაბავრის აღმოსავლეთიდან გადმოჰყურებს უზარმაზარი კლდოვანი მთა, რომელსაც „კლდეწითლები“ ეწოდება. იგი აღმართულია წვერის წყაროსა და აბაზის ხევს შუა. გაზაფხულსა და ზაფხულში კლდიდან არეკლილი მზის სხივები წითელ ფერს ფენს მთელ სოფელს. ქართველმა გეოლოგებმა შეისწავლეს „კლდეწითლების“ ქანობთა შემადგენლობა და დაადგინეს, რომ იგი წითელ და ნაცრისფერ მაღალი ხარისხის „პემზასთან“ ერთად შეიცავს ტუფსაც.

ხიზაბავრელი ახალგაზრდები ძველად იძულებული იყვნენ, დაწყებითი სწავლა-განათლების მიღების მიზნით, 1831 წელს დაარსებულ ახალციხის სამაზრო-საერო სასწავლებელში ევლოთ. 1881 წლის 21 ნოემბერს კი ცნობილი პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის ივანე გვარამაძის მიერ ხიზაბავრაში გახსნილა სამრევლო სკოლა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

სკოლა პირველ რიგში იოსებ ველიჯანაშვილის მიწურ სახლში ყოფილა მოთავსებული. 1890 წელს მოსახლეობის შეწირულობათა შედეგად შეგროვილი სახსრებით პროგრესულად განწყობილ სოფლის თავკაცებს სტეფანე დათაშვილის სახლი შეუსყიდიათ და სკოლა გაუხსნიათ. ხოლო 1893 წელს

ოთხი ოთანისაგან შემდგარი შენობა აუგიათ და ახლა იქ გადა-  
უტანიათ. 1904 წელს ამ სასკოლო შენობისათვის კიდევ ოთხი  
ოთახი მიუმატებიათ. აქ „სწავლება სეზონურად, მხოლოდ  
ზამთრის თვეებში, ოთხი-ხუთი თვის განმავლობაში მიმდინა-  
რეობდა. იწყებოდა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის დამ-  
თავრების შემდეგ და გრძელდებოდა საგაზაფხულო სამუშაოე-  
ბის დაწყებამდე. ასწავლიდნენ ანგარიშს, დედაენას, ხელსაქ-  
მეს, რუსულ ენასა და საღმრთო რჯულს. ამ სკოლაში სხვადა-  
სხვა ღროს მასწავლებლებად იყვნენ: ივანე გვარამაძე, თომა  
პაპაშვილი, კოსტა გვარამაძე, გიორგი გეგიძე, ლაზარე ნათე-  
ნაძე, გიორგი რაზმაძე, ალექსანდრე წითლანაძე, მიხეილ ვარ-  
ძიელი, პავლე მესხი, ალექსანდრე ხუციშვილი, ტერეზა და  
კოსტა შეშაბერიძეები და სხვები”<sup>1</sup>.

XX საუკუნის დამდეგიდან ხიზაბავრაში თავი იჩინა ახალ-  
გაზრდების რევოლუციურმა გამოსვლებმა, რომლის ორგანი-  
ზატორი და ხელმძღვანელი სოფლის სკოლაში ორზრდილი  
ალექსანდრე ხუციშვილი იყო. მისი ინიციატივით იმართებო-  
და საიდუმლო კრებები, მიტინგები, სადაც რევოლუციურად  
განწყობილი სოფლის ინტელიგენციის წარმომადგენლები  
გლეხობას მოუწოდებდნენ საძულველი მეფის მთავრობის პო-  
ლიტიკურ-უანდარმული რეჟიმის დამხობისაქენ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირ-  
ველი დღეებიდანვე ხიზაბავრაში გაიხსნა დაწყებითი სკოლა,  
რომელიც 1925 წელს შვიდწლედად გადაკეთდა, 1935 წელს  
კი — საშუალო სკოლად. მისი პირველი გამოშეება 1938 წელს  
იყო. ამ სკოლაში წლების მანძილზე მასწავლებლად მუშა-  
ობდნენ განათლების დარგის ისეთი შესანიშნავი წარმომად-

1 მ. ველიქანაშვილი, ხიზაბავრის მეგზური.

გენლები, როგორებიც იყვნენ ვლასი ქურიძე, გიორგი დავდა-  
რიანი, ივლიანე კვაჭაძე, ბათლომე თოფურია, ვალიუთ წატე-  
ლიშვილი, ლონგინოზ ნიქარაძე, ალექსანდრე ჩავლეიშვილი,  
ივანე მელაძე და სხვები. ისინი ძალ-ღონეს არ იშურებდნენ  
სკოლაში ბავშვების მოსაზიდავად და სასწავლო-აღმზრდელო-  
ბითი პროცესების გასაუმჯობესებლად<sup>1</sup>.

დღეს შუა სოფელში აღმართულია ორსართულიანი საშუ-  
ალო სკოლის შენობა, რომელსაც აქვს ყოველმხრივ კეთილ-  
მოწყობილი ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის კაბინეტ-ლაბორა-  
ტორიები, მდიდარი ბიბლიოთეკა. თუ საბჭოთა ხელისუფლე-  
ბის დამყარების პირველ ხანებში სოფლის ძველ სკოლაში  
20—30 მოსწავლე და 2—3 მასწავლებელი ირიცხებოდა, ამ-  
ჟამად ხიზაბავრის ახალ სკოლაში 246 ბავშვი სწავლობს, რო-  
მელთა აღზრდასაც 30 მაღალკვალიფიციური მასწავლებელი  
ემსახურება.

ხიზაბავრის საშუალო სკოლამ აღზარდა ისეთი შესანიშნა-  
ვი სპეციალისტები და საზოგადო მოღვაწენი, როგორებიც იყვ-  
ნენ შემდეგში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტო-  
რიული ფაკულტეტის კურსდამთავრებული, ტოლოშის საშუა-  
ლო სკოლის დირექტორი (21 წელი) და ასპინძის რაიალმასკო-  
მის თავმჯდომარე (4 წელი) ლევან ველიგანაშვილი, თბილისის  
სამედიცინო ინსტიტუტის აღზრდილი, ამჟამად რესპუბლიკის  
დამსახურებული ექიმი, პეტრე ჯანაშვილი.

უმაღლესი განათლება მიიღეს და სახალხო მასწავლებლის  
რთულსა და საპასუხისმგებლო მოვალეობას წარმატებით  
ართმევენ თავს ხიზაბავრის სკოლაში „დედაენას“ პირველად

<sup>1</sup> მ. ველიკანაშვილი, ხიზაბავრის მეგზური.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 37.

ნაზიარები პეტრე პაპაშვილი, ივანე ხაზალაშვილი, აკობ ბა-  
ლიაშვილი, თამარ თედორაძე, თამარ მაზმანიშვილი, ღავობ  
ყრუაშვილი, ლუბა თედორაძე, შოთა ველიგანაშვილი, შოთა  
სიმონიძე, გიორგი დათაშვილი, ნათელა ხუციშვილი, ნათელა  
მურადაშვილი, ოთარ ველიგანაშვილი, შოთა ფირფირაშვილი,  
სტეფანე ალფიშვილი; სტეფანე მამუკაშვილი, რაფო ველიგა-  
ნაშვილი, იოსებ დათაშვილი, ვალერი ლეკიშვილი, ქეთევან  
მაზაშვილი.

უმაღლესი საინჟინრო განათლება აქვთ მიღებული და ჩვე-  
ნი რესპუბლიკის წარმოება-დაწესებულებებში თავიანთი სპე-  
ციალობებით მუშაობენ ვასილ, ვახტანგ და ზურაბ ვე-  
ლიგანაშვილები, გიორგი პაპაშვილი, სერგო ხიხალაშვილი, გია



ველიგანაშვილების თავშეყრა

ჯანაშვილი, იური ლეკიშვილი, შალვა კალაიჭიშვილი, შალვა  
და იოსებ მაზაშვილები.

უმაღლესი სამედიცინო განათლება აქვთ: იამზე ცელიგვაძე-  
ვილს, შოთა ჯანაშვილს, ბიჭიკო ველიგანაშვილს, ტარიელ მაზ-  
მიშვილს, პავლე ფირფირაშვილს და სხვებს.

ხიზაბავრაში მცხოვრებ სხვა საგვარეულოებთან ერთად  
ველიგანაშვილებმა მრავალი ღირსეული შვილი აღუზარდეს  
სამშობლოს. მათ შორის აღსანიშნვია ეფრემ იოსების ძე ვე-  
ლიგანაშვილი. 1912 წელს იგი მონაწილეობას იღებდა ქუთაი-  
სის ორველუციურ გამოსვლებში. 1918 წელს ეფრემმა ხიზა-  
ბავრაში შექმნა ათასეული, რომელმაც თურქებს გადაუკეტა  
გზა მესხეთიდან ჯავახეთზე იერიშის მისატანად. მამაცობისათ-  
ვის იგი ხალხმა 1918 წელს თავის გმირად აღიარა.

შეუპოვრად იბრძოდნენ 1916 წელს რუსეთ-თურქეთის  
ომში ძმები ივანე და სარქის პეტრეს ძე ველიგანაშვილები.  
ივანე გმირულად დაეცა თურქებთან ერთ-ერთ ხელჩართულ  
ბრძოლაში, სარქისი კი მძიმედ დაიჭრა.

შეუპოვრად იბრძოდა 1918—1919 წლებში ბოლშევიკების  
სამხრეთის ფრონტზე კრასნოდარისა და ყირიმის მიწაზე დე-  
ნიკინ-კოლჩაკის რაზმების წინააღმდეგ სიმონ იაკობის ძე ვე-  
ლიგანაშვილი (ადეიშვილი).

1918 წელს ხიზაბავრა-საროზე თურქთა თავდასხმის დროს  
მტრის ტყვიამ შეიწირა ამბროსი ივანეს ძე ველიგანაშვილი.

ხიზაბავრის სასოფლო საბჭოში შედის ორი სოფელი: ხი-  
ზაბავრა და სარო. მათ მომსახურებას უწევს სამი სამკითხვე-  
ლო, კლუბი, ბავშვთა ბაგა-ბაღები, ფოსტა-ტელეგრაფი, შემ-  
ნახველი სალარო, სასურსათო და სამრეწველო მაღაზია.

ხიზაბავრაში არსებული ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი  
3500 ეგზემპლარს აღემატება. ვერ ნახავთ ისეთ ოჯახს, რომ-

ლის ერთი წევრი მაინც არ იყოს მათი მუდმივი მკითხველი. ბიბლიოთეკა ხშირად აწყობს წიგნების განხილვას, რეზენტების რებს სოფლის მოწინავე ადამიანებთან, ლექციას ასუბჟეტს დამსახურებული ბიბლიოთეკარის შ. ფირფიჩაშვილის მე-შვეობით.

ნაყოფიერ მუშაობას ეწევა სასოფლო კლუბიც. აქ ჩამოყალიბებულია თეითმოქმედი ღრამატული წრე. სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი. კლუბში იდგმება წარმოდგენები, იმართება ლიტერატურულ-შემოქმედებითი სალამოები, უჩვენებენ კინოსურათებს.

აღსანიშნავია, რომ სოფელში დღემდე მისდევენ შორეული წარსულიდან ტრადიციულად მომდინარე ხალხურ მედიცინას. არიან ოჯახები, რომელთაც იციან ამა თუ იმ ავადმყოფობის საწინააღმდეგო წამლების დამზადება.

ხიზაბავრაში კარგა ხანია მოქმედებს სასოფლო საავადმყოფო, რომელსაც აქვს ქალთა და მამაკაცთა განყოფილებები, საპროცედუროები. მას ემსახურება ორი ექიმი, ოთხი ექთანი და ექვსი უმცროსი მედპერსონალი.

სოფლის შესახლელში აღმართულია 22 მეტრის სიმაღლის ობელისკი, რომლის მარმარილოს დაფაზე ოქროს ასოებით ამოტვიფრულია შინმოუსვლელთა გვარები. პარტიის მოწოდების პასუხად 500 ხიზაბავრელი ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში. აქედან 120 ვეღარ დაუბრუნდა თავის ოჯახს. მრავალმა დედამ, ცოლმა, დამ და შვილმა ჩაიცვა შავები. ბევრი დედა დღესაც თვალცრემლიანი ელოდება პირმშოს დაბრუნებას. სოფლის პირველმა გმირმა დედამ სარა ველიგანაშვილმა ხუთი ვაჟი გაისტუმრა ფრონტზე (დავითი, მიხეილი, პავლე, ლევანი, ანტონი). მათგან დავითი არ დაბრუნებულა, ხოლო სამი შვილი ინვალიდი დაბრუნდა. სოფიო კელოშვი-

ლის ვაჟები: იაკობი, ვასილი, ქირილე გმირულად დაცნენ  
ბრძოლის ველზე. სოფელი პატივისცემით ინახავს ოშში და-  
ღუპულთა ნათელ ხსოვნას.

შინმოუსვლელთა ობელისკის ახლოს დგას თუნტკეჭავაზე ისეთი  
დახურული, აივანმოჩუქურთმებული შენობა. ეს არის დიდე-  
ბის სახლი, რომელშიც დაცულია სოფლის მოწინავე ადამია-  
ნების ცხოვრება-მოღვაწეობის ამსახველი საინტერესო მასა-  
ლები. აქ დღესასწაულებსა და კვირაობით ყოველთვის ხალხ-  
მრავლობაა. მისი სტუმრები არიან არა მარტო აღგილობრივი  
მქვიდრნი და რაიონის ცენტრიდან ჩამოსული ამხანაგები, არა-  
მედ მეზობელი სოფლების მშრომელები და მოსწავლე ახალ-  
გაზრდებიც.

ხარობს, ფრთებს შლის მრავალჭირნახული, ძველთაძველი  
მესხური სოფელი ხიზაბავრა.



რედაქტორი ც. თოფურიძე

მხატვარი ვ. გაბელია

მხატვრული რედაქტორი პ. ტუხაშვილი  
ტექნიკური რედაქტორი ე. ციხელაშვილი

კორექტორი თ. ტურიაშვილი  
გამომშვები ნ. ჩხეტიანი

ს. ბ. 2592

გადაეცა წარმოებას 21.VII.82 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 4.X.82 წ.  
საბეჭდი ქაღალდი № 2. 70X108 $\frac{1}{32}$ . პირობითი ნაბეჭდი თაბახი 2,1.  
საალრ.-საგამომც. თაბახი 1,66. პირ. საღ. გატ. 1,75.

უ 13179. ტირაჟი 2000. შეკვ. № 529.  
ფასი 5 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“  
თბილისი, მარჯანიშვილის 5.



Михаил Яковлевич Велиджанашвили

ЗАРЯ ХИЗАБАВРЫ

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»

Тбилиси, Марджанишвили, 5.

1982



ეროვნული  
ბიблиოთეკა

Грузинской ССР. Тбилиси 380060. Медгородок II корп.  
Тбилисская типография № 4. Госкомиздата  
საქართველოს სსრ გამსახუმის თბილისის № 4 სტამბა  
380060, მედევნაქის II კორპ.

n 10/2

